

4. გუნდების განაცხადების გაფორმება

4.1. გუნდებმა განაცხადები თფფ-ში, უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2017 წლის 15 აპრილისა.

4.2. ყველა ფეხბურთელი დაბადებული უნდა იყოს თავიანთ ასაკობრივ წლებში 1 იანვრის შემდეგ.

4.3. გუნდის განაცხადი მოწმდება სკოლის დირექტორის (პრეზიდენტის) ხელმოწერით და სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი ბეჭდით; ასევე ბავშვთა ჩემპიონატებში გუნდები რომლებიც ითამაშებენ აფფ-ში და სოფფ-ში ვალდებული იქნებიან განაცხადზე მოითხოვონ თფფ-ს თანხმობის ბეჭედი.

4.4. გუნდის განაცხადი დგება 3 ეგზემპლარად. განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინონ საფეხბურთო სკოლის წესდების და რეგისტრაციის ასლები. ფეხბურთელის დაბადების მოწმობის ასლი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტი ან პირადობის მოწმობა ან ფორმა №1). მოთამაშის განაცხადში შეყვანისას აუცილებლად უნდა მიეთითოს მისი გვარი, სახელი და მამის სახელი:

4.5. გუნდიდან გუნდში მოთამაშის გადასვლა ნებადართულია პირველი წრის ან სეზონის დასრულების შემდეგ. განაცხადში ფეხბურთელის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30-ს.

4.6. ჩემპიონატის საწევრო თანხა. ელიტარული ლიგის გათამაშებებში განისაზღვროს შემდეგნაირად:

- 2003 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 1300 ლარი
- 2004 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 700 ლარი
- 2005 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 700 ლარი
- 2006 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 700 ლარი
- 2007 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 700 ლარი
- 2008 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 400 ლარი
- 2009 წ. დაბადებულ ჭაბუკებში --- 400 ლარი

თუ ტურნირებში მონაწილე გუნდები რაიმე მიზეზით მოიხსნებიან გათამაშებიდან, საწევრო თანხა გუნდებს არ დაუბრუნდებათ.

თფფ-ს საბანკო რეკვიზიტებია:

ა(ა) იპ. ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია

ს.კ 202886519

ს.ს „ლიბერთი ბანკი“

ბანკის კოდი LBRTGE22

ანგარიშის ნომერი GE36LB0115112049422000